



პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების
პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 0 23 0000440714



21/04/2023

**„სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტისთვის
„თეატრალური კოსტუმის მკერავის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის
განხორციელების უფლების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ პროფესიული
მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების
მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 24 თებერვლის №223073 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის
შესახებ**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის გარშემო ახალი გარემოებების გამოვლენის და დამატებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 60¹ მუხლის, მე-3 პუნქტის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ბათილად იქნას ცნობილი „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტისთვის (ს/კ: 203851028) „თეატრალური კოსტუმის მკერავის /01518/“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებაზე უარის

თქმის შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 24 თებერვლის №223073 გადაწყვეტილება.

2. შეიქმნას ექსპერტთა ჯგუფი და განხორციელდეს პირველი სტანდარტის 1.10 ქვესტანდარტის ფარგლებში დამატებითი დოკუმენტაციის შესწავლა და „თეატრალური კოსტუმის მკერავის /01518/“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე საბჭოს მიერ საკითხის ხელახლა განხილვა.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 21 აპრილის №438748 ოქმის პირველი და მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

